7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 140
ივლისის 5, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 140
ივლისის 5, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)
ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:
რიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა). ეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში. ლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში). კელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ). წერეთლის წიგნის მაღაზიაში. —პართენ ნასიძესთან.
კე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს გნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს ილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

გორში
ექიმი ქ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, რანგების ეკკლესიის ახლო.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქართველ ქალთა
ამხანაგობა
სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭ[illegible]ვენ ნიშნებს (метки). ბარიატინის ქუჩა № 12.

დაბა ცხინვალში
კბილის ექიმი
ს. გ. შერმაზანოვისა
3 ივლისიდგან იღებს ავადმყოფებს.
(2—373—2).

დ. სურამში
შაბათს, 6 ივლისს, 1902 წ.
ახალს თეატრში «სან-რივალში»
ქართული დრამატიული დასი ვ. გუნიას გამგებლობით და ქ-ნნთ ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ლ. კარგარეთელისა და ბ-ნნთ ვ. გუნიას, კ. ირიშვილისა და სხვათა მონაწილეობით დგენილი იქნება პირველად ახალი პიესა
ძალა აღმართსა ჰხნავს
კომედია 4 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ
ადგილების ფასი 40 კაპ. 2 მანეთამდე. მოწაფეთათვის ნახევარი ფასი.
წარმოდგენის შემდეგ ცეკვა
(3—2)

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ოთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
დიანი. 11—1½ ს. სადოსტაქრო, სი) და საშარდე ავადმყოფობანი.
ვი. დილის 11—12 საათ. ქა- მყოფობანი
ვი. 12—1 საათ. ყელისა, დმყოფობსა.
—1½ საათ. შინაგანისა

საღამოობით:
ქ. ი. მძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

წესდება.

სამღვდელოთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

(შემდეგი *)

V. წესი პენსიის და ერთ-დროებით შემწეობის თხოვნისა, დანიშვნისა და მიღებისა.

28) იმათ, ვისაც პენსიისა ან ერთ-დროებით შემწეობის მიღება სურთ, უნდა თხოვნა მიართვან საეპარქიო კონსისტორიას.

შენიშვნა: თხოვნები მცირე-წლოვან ობლებისათვის პენსიებისა ან ერთ-დროებით შემწეობის დანიშვნის შესახებ უნდა შეიტანონ მზრუნველებმა ან ადგილობრივმა ბლაღოჩინებმა.

29) სამღვდელოსა და მედავითნეთ, შტატიდან წასვლის დროს, სამსახურიდგან დასათხოვნ განცხადებაში უნდა აღნიშნონ თავიანთი უფლება პენსიის ან შემწეობის მიღებისა. ყოველს შემთხვევაში, პენსიის დანიშვნის შესახებ თხოვნის შესატანად ინიშნება სამის თვის ვადა. თუ თხოვნა ამ ვადას გადასცდა, პენსია ენიშნება იმ დღიდგან, რა დღესაც თხოვნა იქმნება შეტანილი.

30) ვინც ვადას არ გადაასცილებს, იმას პენსია დაენიშნება იმ დღიდგან, რა დღესაც ჯამაგირი მოუსპო, ხოლო ვისაც ჯამაგირი არა ჰქონდა,—იმას დათხოვნის შესახებ ბრძანების მიღების დღიდგან.

31) იმათ, ვინც სამსახურიდგან დაითხოვეს სამართალში ყოფნის გამო და შემდეგ ან გაამართლეს, ან დასაჯეს ისე-კი, რომ პენსიის მიღების უფლება არ დაჰკარგეს, პენსიის მისაღებად თხოვნის შესატან ვადად ენიშნებათ ექვსი თვე. ეს ვადა ითვლება სასამართლოს განაჩენის გამოცხადების დღიდგან.

32) ქვრივს და ობლებს პენსია ენიშნებათ ქმრისა ან მამის გარდაცვალების დღიდგან, თუ თხოვნა პენსიის შესახებ შეტანილ იქმნა ამ დღიდგან ერთის წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსია თხოვნის შეტანის დღიდგან ენიშნებათ.

შენიშვნა 1. იმ ქვრივებისა და ობლებისათვის, რომელნიც რუსეთს გარეშე სცხოვრობენ, თხოვნის შესატან ვადად ინიშნება ორი წელიწადი.

შენიშვნა 2. მცირე წლოვან უდედ-მამო ობლებს შეუძლიანთ პენსიის მიღება მამის სიკვდილის დღიდგან, თუ, როდესაც 16 წლისა შესრულდებიან, თვითონ არ გადააცდენენ მე-32 მუხლში აღნიშნულ ვადას თხოვნის შეტანისას.

33) თუ სამღვდელო ან მედავითნე, რომელმაც პენსია ან შემწეობა მოითხოვა, გარდაიცვალა იმის მიღებამდე, კუთვნილ ფულს მიიღებს იმისი ოჯახი.

34) თხოვნები პენსიისა და შემწეობის შესახებ უნდა განიხილოს საეპარქიო მთავრობამ, რომელმაც, თუ სცნო თხოვნა სამართლიანად, ქაღალდი უნდა გაუგზავნოს უწმ. სინოდს თხოვნის მიღებიდგან არა უგვიანეს ერთის თვის განმავლობაში.

35) ამ ქაღალდს უნდა დაერთოს სინოდის მიერ დაწესებულ ფორმით შემდგარი სია ცნობათა იმათ შესახებ, ვინც პენსიასა ან შემწეობას თხოულობს, და საბუთის ქაღალდები, საიდგანაც უნდა სჩანდეს, რომ მთხოვნელს პენსიის მიღების უფლება აქვს; სახელდობრ: ა) ნამსახურობის ქაღალდი მთხოვნელისა. თუ პენსიას ან შემწეობას ქვრივ-ობლებისთვის თხოულობენ, მაშინ, ქმრის ან მამის ნამსახურობის ქაღალდს გარდა, უნდა იყოს მოწმობაც იმის გარდაცვალებისა და მოწმობა ბავშვების დაბადებისა და მონათვლისა; ბ) თუ თხოულობენ მცირე და არა სრულ სამსახურის პენსიას, მაშინ საჭიროა მკურნალის მოწმობა, შედგენილი საზოგადო საპენსიო წესდების მე 160 და 161 მუხლების თანახმად (კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამოც. 1896 წლისა), და გ) თუ პენსიას თხოულობს გარდაცვლილ სამღვდელოსა და მედავითნის შვილი, რომელსაც ავადმყოფობით შრომა არ შეუძლიან. საჭიროა, მკურნალის მოწმობის გარდა მოწმობა სრულ სიღარიბის შესახებაც. ასეთი მოწმობა უნდა მისცეს კრებულმა და შეამოწმოს ბლაღოჩინმა.

36) პენსიებს და ერთ-დროებით შემწეობას ჰნიშნავს უწ. სინოდი; სახელმწიფო ხაზინიდან გადადების შესახებ უნდა ეცნობოს ფინანსთა მინისტრს.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესად ნება-რთვაა საჭირო, ან საეჭვო რამეა, უწმ. სინოდი ნებას აძლევს ობერ-პროკურორს, ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტის საშუალებით ნება-რთვა აიღოს პენსიისა ან ერთ-დროებით შემწეობის დანიშვნისა.

37) პენსიებისა და შემწეობათა მიღება შეიძლება იმ წესით, რა წესიც აღნიშნულია პენსიათა საზოგადო წესდებაში (კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამ. 1896 წ.) და ხაზინებისათვის გამოცემულ ინსტრუქციაში.

38) საპენსიო ფული, სრულად არ მიღებული პენსიის გარდაცვალებულ პატრონის მიერ, შეიძლება ფინანსთა მინისტრის კასსებიდან მიეცეს განსვენებულის ოჯახს (ქვრივს და ობლებს), როდესაც იგი ოჯახი წარადგენს მოწმობას პენსიის პატრონის სამსახურისა და გარდაცვალების შესახებ.

39) თუ პენსიის პატრონი ორის წლის განმავლობაში არ გამოცხადდა პენსიის მისაღებად, ან მოთხოვნილება არ გაგზავნა, პენსია ხარჯიდგან ირიცხება გამოუქვეყნებლად; თუ შემდეგ პატრონმა ითხოვა პენსია, იგი მიეცემა იმ დროიდგან, რა დროსაც თხოვნა შეიტანა.

შენიშვნა: შუამდგომლობა, რომელშიაც თხოვნა იქმნება გადიდებულ პენსიის მიღებისა, უნდა წარედგინოს ფინანსთა მინისტრს (საზოგადო საპენსიო წესდება, მუხლი მე-220, კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამოცემა 1896 წლისა).

(დასასრული იქნება).

ტფილისი, 5 ივლისს.

ამ ბოლოს დროს ჩვენი საზოგადოება მიეჩვია, რომ მეტი ყურადღება ათხოვოს ხოლმე ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და სცდილობს გაითვალისწინოს ყოველივე, რაც-კი ახასიათებს ამ მხრივ ეხლანდელს დროს. ამასთანავე იკვლევს მიზეზს, რომელიც აფერხებს, ანუ წინ-სვლას ჰშველის გართულებულ ცხოვრებას და ამა თუ იმ ღონისძიებასა სთვლის იმ მალამოდ, რომელმაც უნდა გაჰკურნოს ნივთიერად დასნეულებული ერი და მოუმზადოს უტყუარი ნიადაგი სულიერის გაძლიერებისათვის. თუ აქამდე მხოლოდ ერთი და ორი მისდევდა ამ საგნების კვლევასა, ეხლა ეკონომიურ საგნებზედ ლაპარაკი ჩვენის ჟურნალ-გაზეთობის უმთავრეს კილოდ არის გადაქცეული და ჩვენში ყოველი მწერალი თავის მოვალეობადა სთვლის ამ გვარ საგნების შესახებ თავისი საკუთარი აზრიც გამოსთქვას. როგორც ყოველ ახალ საქმეს სჩვევია, აქაც ზოგი რამ უნიადაგო და უსაბუთო აზრი წარმოითქმის ხოლმე, მაგრამ ბევრი ისეთი სასარგებლოც გამოქვეყნდა, რომ ყველა ის, რაც-კი დაწერილა ჩვენში საეკონომიო საგნებზედ, სასარგებლო განძს წარმოადგენს; ამ განძს, ეჭვი არ არის, შემდეგნი მკვლევარნი გამოიყენებენ და მით გაიადვილებენ ჩვენის ცხოვრების ნამდვილ სურათის დახატვას. ამნაირად, აწინდელი შრომა ჩვენის ჟურნალ-გაზეთებისა საეკონომიო საგნების ასახსნელად, უმთავრესად, ამითია ძვირფასი, რომ მასალას ამზადებს სამერმისოდ. გამოჩნდებიან შემდეგ მკვლევარნი, რომელნიც პრესსაში წარმოთქმულს მოსაზრებათა დაწვრილებით გაარჩევენ: შეიწყნარებენ შესაწყნარებელს და უარ-ჰყოფენ უნიადაგოს, უსაბუთოს და იმ მრავალ აზრთა და მიმართულებათა შორის, რომელიც ეხლა სუფევს ჩვენში, გამოირკვევა საბოლოოდ ორიოდე განსაზღვრული მიმართულება და იმით იხელმძღვანელებენ ჩვენის ერის ბუნებრივად დაყოფილნი ჯგუფნი.

დიაღ, სულ ეს უნდა მოჰხდეს შემდეგში, მაგრამ ცხოვრება არ იცდის. ამ ჟამად უკვე არის წარმოდგენილი ისეთი პრაქტიკული საგნები, რომელთა გადაწყვეტას ცხოვრება ახლავე ითხოვს, მასთან ითხოვს გადაჭრით. ამნაირ მდგომარეობაში საჭიროა საერთო ძალღონე მწერლობისა და საზოგადოებრივის აზრით გამსჭვალულ მოღვაწეთა, რათა ცხოვრების მოთხოვნილებას უკან არ ჩამოვრჩეთ და ხახა-გამშრალნი არ დავრჩეთ.

როდესაც მოგახსენეთ, რომ ზოგიერთი პრაქტიკული საგანი არის უკვე წარმოდგენილი-მეთქი, ამით ამ ჟამად მინდა მკითხველს მოვაგონო, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისთვის ამ წლის დამლევს, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, დაარსებულს პეტერბურგის ცენტრალურ საბჭოს, რომელსაც უმაღლესად მიენდო გამოიკვლიოს, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული რომ სასოფლო მეურნეობა აყვავდეს, მის წარმატებისთვის მთავრობამ რა უნდა შემოიღოს და რა უნდა უარჰყოს, როგორც მკითხველს ეხსომება, ხელმწიფემ კეთილ ინება და ბრძანა, რათა ყველა გუბერნიებსა და მაზრებში დაწესებულ იქმნას განსაკუთრებული კომიტეტები, რომელთაც ადგილობრივ უნდა განიხილონ, რას საჭიროებს ხალხი, რომ მეურნეობა მკვიდრ ნიადაგზედ დამყარდეს; ეს თავისი მოსაზრებანი კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ ზემოხსენებულ ცენტრალურ საბჭოს, რათა გამოცემულ იყოს შესაფერი კანონები და განკარგულებანი.

ეს წყალობა ჩვენს ქვეყანასაც ჰხვდა წილად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, რადგან ჩვენში ერობა არ არის შემოღებული ამიტომ აქ მხოლოდ საგუბერნიო კომიტეტები იქმნება დაარსებული და სამაზროები-კი არა. თუმცა დიდად სასურველი იყო, რომ ჩვენშიაც ყოფილიყო სამაზრო კომიტეტები, რომელთაც, ჩვენის აზრით, იქ უფრო აქვს მნიშვნელობა, სადაც ერობა არ არის შემოღებული, მაგრამ საგუბერნიო კომიტეტების მინიჭებაც დიდი წყალობა არის, რადგან ყოფილა მაგალითები, რომ როცა ახალ წესის შემოღებას შესდგომიან, განაპირა ქვეყნები, როგორც ჩვენი სამშობლოა, მხედველობაში სულაც არ მიუღიათ. ახლა-კი ჩვენც ჩაგვირიეს ამ საერთო წყალობაში და ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოა. საგუბერნიო კომიტეტები იკრიბება გუბერნატორის თავმჯდომარეობით და წევრებიც იქმნებიან მიწვეულნი საგუბერნიო დაწესებულებათა უმაღლესნი მოხელენი. ამათ გარდა წევრებად მიიწვევენ გუბერნიის და მაზრის მარშლებს, სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარეს და კიდევ იმათ, ვის მიწვევასაც ინებებს გუბერნატორი. ესენი იქმნებიან წევრებად ჩვენის გუბერნიების კომიტეტებში.

სადაც ერობა არის შემოღებული, იქ კომიტეტებში ერობის წარმომადგენელნიც იღებენ მონაწილეობას. მხოლოდ სადაც მაზრის კომიტეტები არიან, იქ თავმჯდომარედ მაზრის მარშალია, წევრნი—სამაზრო ერობის წარმომადგენელნი და სხვა მიწვეულნი.

რუსეთის მწერლობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საგუბერნიო და თვით სამაზრო კომიტეტებიც ვერ მოიტანენ სასურველ სარგებლობას, რადგანაც ამ კომიტეტის წევრთა შორის უმრავლესობა წარჩინებული მოხელე-ჩინოვნიკები არიან, რომელნიც ძალიან ნაკლებად იცნობენ სასოფლო-მეურნეობას და იმათ მსჯელობას პრაქტიკული ხასიათი ნაკლებად ექმნებაო. ისევ თუ იმედი აქვთ ვისიმე, ერობის წარმომადგენელთა იმედი აქვთ, რადგან მხოლოდ ისინი არიან ჩახედულნი სოფლის ლხინსა და ჭირში; მაგრამ ამასაც-კი ეჭვობენ რუსეთის გაზეთები და აცხადებენ, რომ უმეტესი ნაწილი კომიტეტის წევრთა ერობათა წარმომადგენელნი უნდა იყვნენო, თვით ერობისაგან არჩეული დეპუტატებიო...

ასეა საქმე რუსეთის შიდა გუბერნიებში და, რაღა თქმა უნდა, რომ რუსეთის მწერლობის აზრი ამ საქმის შესახებ ჩვენს ქვეყანასაც უფრო შეეხება. ჩვენის გუბერნიების კომიტეტებში ერთად-ერთ წარმომადგენლად სოფლის ჭირვარა-მის ცოდნისა ისევ ჩვენი მარშლები თუ ჩაითვლებიან, მაგრამ რამდენად?!

ჩვენში ისეთი ვითარება სუფევს, რომ მარშლებს კომიტეტში რომ მივაშველოთ ისინიც, რომელთა მოწვევას მოისურვებს ბ. გუბერნატორი (ე. ი. მეურნენი), მაშინაც ძნელად ითქმის, რომ საგუბერნიო კომიტეტში სოფლის ჭირ-ვარამის დახასიათება ნამდვილად და ყოველ მხრივ შესაძლო იქნებაო. ჩვენში არ არის ის დაწესებულებანი, რომელნიც ამზადებინ ამისთანა მოღვაწეთ. რუსეთ

ში ერობამ საკმაოდ ბევრი მოღვაწე დაჰბადა, რომელნიც ჩაითვლებიან ადგილობრივის ვითარების მცოდნეებათ.

—ჩვენში-კი ასე არ არის. ცარიელი სურვილი არას წარმოადგენს, თუ მასთან არ არის სკოლა, რომელიც სწრთვნის და ჰზრდის ამნაირ მოღვაწეთა. რასაკვირველია, ჩვენი ამნაირი მდგომარეობა იქამდის გასტანს, მანამ ერობას არ ვეღირსებით. მაგრამ ახლა რაღა ვუყოთ? როგორ მოვიქცეთ, რომ უმაღლესი წყალობა კეთილად გამოვიყენოთ და კომიტეტს და ცენტრალურ საბჭოს უტყუარი სურათი წარვუდგინოთ ჩვენის სოფლისა, მისი საჭირ-ბოროტო საგნები დავუყენოთ წინ?.. აი აქ გვიჭირს მარშლების დახმარება და აქ გვებადება იმედი, რომ ამ საქმეშიაც არ დაიშურებენ ისინი მეტს ჯაფასა და შრომას, რათა კეთილი წინამძღოლობა გაგვიწიონ.

ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭირო არის, რომ ყველა მაზრაში, მარშლების თავმჯდომარეობით, შესდგეს ადგილობრივი, კერძო კომიტეტები. ამნაირმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ის პროგრამმა, რომელიც ცენტრალურ საბჭოსაგან იქმნება გამოგზავნილი ჩვენში. ჩვენის ფიქრით, მხოლოდ ამ კომიტეტს ექმნება კომპეტენცია, ასე თუ ისე დაახლოვებულის სინამდვილით წარმოსთქვას ის, რაც საჭიროა მეურნეობისა და მეურნეთა აღსადგენად, განურჩევლად წოდებისა. ამნაირად ცალკე მაზრებში შეკრებილი ცნობები ერთად უნდა განიხილონ, გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით და ასე მოსაზრებული უნდა წარუდგინონ კომიტეტს. ჩვენის აზრით, ეს საშუალება სრულებით კანონიერია და პრაქტიკულის მხრივაც მისაღები. თუ ასე არ მოვიქეცით, საგუბერნიო კომიტეტში ყოველი მარშალი წარმოსთქვამს თავის საკუთარს აზრს და, აბა, ვინ იკისრებს ამნაირ მოვალეობას, რომ იქ, სადაც საქვეყნო საქმე სწყდება, იხელმძღვანელოს მხოლოდ თავის აზრით და სხვათა აზრს არ შეუფარდოს.

მართალია, მაინც-და-მაინც არც ამნაირად შემუშავებულს აზრს ექმნება ის ფასი, რასაც რუსეთის პრესა ეძებს, მაგრამ სულ არარაობას ისევ ეს საშუალება სჯობია.

ამ ცოტა ხანში თავად-აზნაურთა კრება უნდა მოხდეს. კარგი იქნება, რომ ამ კრებაზედ ყოველმა მაზრამ დაასახელოს რამდენიმე მცოდნე და გამოცდილი კაცი და მარშლების თავმჯდომარეობით მიანდოს მათ გამოიკვლიონ, რა ღონისძიებანი უნდა იყოს მიღებული, რომ ჩვენი დაცემული სასოფლო მეურნეობა აყვავდეს. ვიმეორებ, რომ კეთილ-შობილის წოდების ინტერესებთან არ უნდა იყოს დავიწყებული გლეხკაცობაც, რადგან მეურნეობის გაჭირვება არის საერთო გაჭირვება ყველა წოდებისა.

საზოგადოდ ჩვენში წესად უნდა შემოვიღოთ, რომ სწორედ ამნაირად შემუშავდეს ხოლმე ის საგნები, რომელნიც მთავრობას უნდა წარედგინოს განსახილველად. ამ ბოლოს დროს ხშირად ყოფილა, რომ ჩვენი წარმომადგენელნი მიუწვევიათ მთავრობის დაწესებულებაში აზრის გამოსათქმელად, მაგრამ ამნაირ წარმომადგენლობას, უმეტეს ნაწილად, უნაყოფოდ ჩაუვლია, რადგან მიწვეულნი მოუმზადებლად იღებდნენ მონაწილეობას ბჭობაში. ეს წესი რომ წინადაც გვეხმარა, იქნებ ნაკლები შეცდომები მოგვსვლოდა, აი, თუნდა ახალის გადასახადის განაწილების დროს... მაგრამ აქ გასამტყუნარი არავინ არის. ჩვენ მხოლოდ ახლა ვეჩვევით საზოგადოებრივ ცხოვრებასა და თანდათან ვიძენთ იმ გამოცდილებასა, რომლის დახმარებითაც ჩვენს სურვილს მალე მივაღწევთ.

ვგონებთ, რომ ის ღონისძიება, რომელიც ჩვენ აქ დავასახელეთ და რომლისადმი მიმართვას პატივცემულ მარშლების მხრივ სასურველადა ვსთვლით, სწორედ ამ აზრს გაუწევს სამსახურს.

ტფილისი

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა, მოისაზრებს მოვახმაროთ უმაღლესად ნაბოძები ფული, გადაუწყვეტია, დაარსდეს ამ ფულით სტიპენდიები. უმაღლეს სასწავლებლებში 20 სრული სტიპენდია, თითოეული 360 მან. და ნახევარ სტიპენდია, თითო 180 მან. სრულ სტიპენდიებიდან 5 დაინიშნება დედათა უმაღლეს სასწავლებელთათვის. საშუალო სკოლებში დაარსდეს 55 სტიპენდია.

✦ გუშინ-წინ საღამოს ჩამობრძანდა ტფილისში ყოვლად-სამღვდელო კირიონი, რომელიც სოფ. ნიქოზში იყო წასული დასასვენებლად.

✦ 1 ივლისს გავიდა ვადა იმ სომხთათვის, რომელნიც შემოეხიზნენ ჩვენს ქვეყანას ოსმალეთიდან ლტოლვილნი და რომელთაც შეეძლოთ აქ სამუდამოდ დარჩენა, თუ მოისურვებდნენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ. ბევრს ეს ვადა გაუყვანია და ახლა აძლევენ თხოვნებს პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს თ. სიდამონ-ერისთავს, მიგვაღებინეთ რუსეთის ქვეშევრდომობაო. ამ თხოვნილებს ერისთავი საგუბერნიო მმართველობაში ჰგზავნის, იმაზეა დამოკიდებული, მოგეცეთ თუ არა ნება რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისაო.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ჰბეჭდავს ამ ჟამად ი. გოგებაშვილის სახალხო წიგნაკს „თავდადებულნი ქართველნი“. წიგნი დაიბეჭდება 2400 ეგზ.

✦ პეტერბურგიდგან სწერენ ტფილისის გაზეთებს, რომ ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გადაქცევა ჯერ-ჯერობით ნაადრევად სცნო სახელმწიფო საბჭომაო.

✦ ფულის მიღება ღ გაცემა ტფილისის ქალაქის კასიდან ამ ზაფხულს, გამგეობის გადაწყვეტილებით, სწარმოებს მხოლოდ 1 საათამდე, მხოლოდ შაბათობით-კი—2 საათამდე.

✦ გამგეობის ახალს წევრს ნ. კოკჩაევს ჩაჰბარდა 1-ლი განყოფილება. დანარჩენ წევრთა შორის შრომის განაწილება შემდეგისათვის გადაიდო.

✦ ქალაქის გამგეობის საბუღალტერო განყოფილებამ შეადგინა და გამგეობას წარუდგენს ქალაქის სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვას 1903 წლისათვის.

✦ 30 ივნისს დანიშნული საზოგადო კრება „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“, რომელიც არ შესდგა საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო, გადაიდო სექტემბრისათვის და არა 7 ივლისისათვის, როგორც ამას წინად შეცდომით გვქონდა მოხსენებული ჩვენს გაზეთში. მაგრამ სასურველია ვიცოდეთ, ის მეორე კრება კანონიერი იქნება, რამდენი ამხანაგიც უნდა დაესწროს თუ არა. საზოგადოდ, „ამხანაგობის“ ახალი წესდება, ძირეულად შეცვლილი ამ რამდენისამე წლის წინად, ახლა თითქმის არსად არ მოიპოვება, რომ მსურველმა რიგიანად გაიცნოს მისი შინაარსი.

სასურველია, რომ ამ უხერხულობას მოევლოს როგორმე.

✦ „ივერიის“ რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული წიგნი „სამოქალაქო დებულება“, შედგენილი ა. ი. მიტკევიჩის მიერ.

✦ 3 ივნისს, რტიშევის ქუჩაზედ მეეზოვე ხეჩატურ შახბაზიანცმა შეიპყრო კარაპეტ არუთინოვი, რომელსაც მიხეილ ყაზაროვის სახლიდგან მოეპარა ხალიჩა და ვერცხლის კოვზები, ღირებული 30 მან.

✦ ამავე დღეს, გრიბოედოვის ქუჩაზედ, ქობულოვის სახლში, მეოთხე სართულში მუშაობის დროს მოირღვა კედელი და მძიმედ დაშავდა შემთხვევით აქ მყოფი სპარსეთის ქვეშევრდომი სარგატა-ინვია-ოღლი. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ბ-ნი ს. ალფაიძე, რომელსაც ო. ს—ჩი ნივთების მოპარვას აბრალებდა, მომრიგებელ მოსამართლემ, საქმის გარჩევის შემდეგ, გაამართლა; საქმე ნამდვილად ასე ყოფილა: ბ-ნი ო. ს—ჩი სცხოვრობდა თურმე ალფაიძის მიერ იჯარით აღებულ სახლში; ო. ს—ჩიმ ქალაქიდამ წასვლა დააპირა. რასაკვრელია, სახლის ქირას გასტუმრება უნდოდა და ეს ბატონი-კი ფულზედ უკაცრავად გახლდათ; ამდგარა, შეუკრავს და გაუგზავნია თავისი ბარგი წინდაწინვე და ცარიელ-ტარიელს ზემოხსენებულ ხერხისთვის მიუმართავს.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება. 3-ს ივნისს შესდგა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა, სხვათა შორის, საქმე საეკკლესიო ღვინის ანუ ზედაშის შესახებ და ამოერჩია აგრეთვე ერთი წევრთაგანი შემოდგომაზედ პეტერბურგს გასაგზავნად და იქაურს კრებაზედ დასასწრებად.

კრება დაიწყო 12 წევრის თანადასწრებით ბ-ნ კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით. როდესაც წაკითხულ იქმნა ოქმი სამეურნეო საწყობ მასალის გაყიდვის შესახებ, ერთმა წევრთაგანმა განაცხადა: კარგი იქნება, რომ საწყობში მასალის გაყიდვიდგან შემოსავალს შეამოწმებდნენ ხოლმე რამდენიმე ჩვენი წევრთაგანნიო და არა ესე სიტყვიერად წყდებოდეს ხოლმე ამისთანა საქმე საზოგადოებისაო. დარწმუნებული ვარო, რომ ბ-ნი ევანგულოვი ძალიან ფრთხილად იქცევა ამ შესავალ-გასავლის აღნუსხვაში, მაგრამ, როგორც ყოველს კაცს, აგრეთვე ევანგულოვსაც შესაძლებელია რაიმე გამოეპაროსო, რაც სასურველი არ არის ჩვენის საზოგადოებისათვის. ბოლოს თვით საზოგადოების ხაზინადარმა ევანგულოვმაც მოისურვა ამ შემოსავლის სარევიზიოდ ამორჩეულ იქმნას ხოლმე ერთი ან ორი წევრი, რომელსაც მიენდობა თანხის შემოწმება.

კრებაზედ დიდი ბაასი გამოიწვია ახლად შემდგარ სასტატისტიკო ბიუროს ესე მალე მუშაობის შეწყვეტამ და ბიუროს კომისიიდგან ორის წევრის გასვლამ. ბ-ნი ევანგულოვი, ხაზინადარი საზოგადოებისა, ამბობდა, რომ ბიუროს წევრთ არა ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო იმ ორის ათასის მანეთით, რომელიც სათავად-აზნაურო ბანკმა დაუნიშნაო; ბიუროს წევრთა კრება-კი იმისთანა ხარჯთ-აღრიცხვას ადგენდა, რაც საზოგადოებისათვის დღევანდელ მდგომარეობაში სამძიმო იყოო. დანდუროვმა ილაპარაკა, რად დავანებე ბიუროს თავიო. ბატონებოო, სთქვა მან,—ბ-ნი ქურული ჩემს მიერ მიწერილ წერილს ბიუროს თავდანებების შესახებ უზრდელ წერილადა სთვლის ფორმითა და კილოთი და ამბობს, ვითომც მე მსურდა შეურაცხყოფა მიმეყენებინა ვისთვისმე; მე ჩვეულებრივ ფორმის მაგიერ: მაქვს პატივი და სხვა... მივწერე: ნუღარ ჩამთვლით წევრათ-მეთქი. ან-კი რა საჭირო იყო ჩემი იქ წევრობა, როცა ბ.ბ-ნნი ქურული, ვეზირიშვილი, სულხანიშვილი, ფურცელაძე ყოველ ჩემს წინადადებას გააქარწყლებდნენ ხოლმე; ჩემ მიერ წარდგენილ საგანს ყურადღებას არ აქცევდნენ; [illegible] სიტყვით [illegible] თქმის უბრალო [illegible] კომისიაში, [illegible] რჩევით და ვერც [illegible] რებით ვერაფერს [illegible] ვშველოდი და, ამასთანავე [illegible] დროსა ვკარგავდი, [illegible] რომ ვარჩიე თავის [illegible] ნებები.

ბ.ბ. ქურულმა და სულხანიშვილმა [illegible] ფერი პასუხი მისცეს ევანგულოვსაცა [illegible] დანდუროვსაცა და სთქვეს, რომ დანდურ[illegible] მხოლოდ ეჩვენებოდა, რომ ვითომ ყურადღ[illegible] ბას არ ვაქცევდითო. ამის დასამტკიცებლად ბ-ნმა სულხანიშვილმა თვით [illegible] ნა, სადაც მისი განსაკუთრებული აზრი [illegible] შეტანილი და ეს-კი დანდუროვის მიერ [illegible] რულ კითხვის უყურადღებობას [illegible] ცებსო.

ქურულმა დაუმატა ამას: [illegible] ტონებო, დანდუროვი [illegible] ჩემს წინადადებას, არც [illegible] ჰქონდაო. აბა ქმნა ვინ [illegible] აზრი, თუ მოსაწონი [illegible] წუნარით-მეთქი. და განა [illegible] ბუთი საზოგადოების წევ[illegible] ბო?!. ბ-ნი დან[illegible] სურათებულ მდგომარეობა [illegible] ნია, რომ არ [illegible] მება.

განა, ჩვენის [illegible] რომ ხან დანდ[illegible] არ მოვიდოდნენ ხოლმე კრებაზედ, რადგანაც გვსურდა, რომ იგინი დასწრებოდ[illegible] ნენ, სამჯერ-ოთხჯერ გადავდევთ კრებაო.

ამ საგანზედ ბევრს ილაპარაკეს [illegible], რო[illegible] ბ-ნ თავმჯდომარის მიერ [illegible]. მაგრამ მას საგანი გამორკვეულად [illegible] და დასმენ[illegible] მე ერთის მხრივ მადლიერი ვარ, რომ დღევანდელ კრებას დავესწარი [illegible] დღევანდელმა მსჯელობამ ბევრზედ ამიხილა თვალი [illegible] ბევრიც, აქამდის ჩემთვის გამოურკვეველი, ნათლად დავინახეო; ახლა დავრწმუნდი, [illegible] ჩვენის საზოგადოების წევრნი რა ნიადაგზედ უმუშავნიათ და ამუშავებენო. მე ამ [illegible] საღამოს თქვენის ბაასის მოსმენით დავიღალე, მაგრამ ზოგი [illegible] მარგებლობაო.

ბოლოს დაადგინეს: [illegible] სტატისტიკის ბიუროს დანარჩენ წევრთ, ნუ შესწყვეტენ მუშაობას; ორის წევრის მაგივრად, რომ[illegible] ლებმაც თავი დაანებეს ბიუროს, მიიწვიონ ისინი, ვისაც ბიუროს წევრნი დაინახავენ სასარგებლოდ. [illegible] რომელმაც უკვე დაიწყეს [illegible] მოისურვებს დაბრუნებას, თუ [illegible] დოს, ბიუროს წევრებმა იზრუნონ სტატისტიკოსის მოძებნისათვის. კრება დასრულდა თორმეტის ნახევარზედ.

ჩვენებური ამბები

როგორც ბათუმიდამ გვატყობინებენ, [illegible] თაშევის ქარხანაში მომუშავეთაც მიენიჭებ[illegible]

ფელეტონი

ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკის მკვიდრნი ანუ ბურები

მათი სამხრეთ აფრიკაში გადასახლების ისტორია, ცხოვრება და კულტურა *).

(ეტნოგრაფიული აღწერა)

II

კაპლანდიის ხელში ჩაგდება ინგლისს უნდოდა ორის აზრით: კაპშტატი წარმოადგენდა საუცხოვო ნავთსადგურს და ზღვებზე ბატონობისათვის აუცილებლად საჭირო იყო ამ სადგურის დასაკუთრება. ხოლო მეორე და ნამდვილი აზრი ინგლისის იქით მისწრაფებისა იყო სამხრეთ აფრიკის მდიდარ ბუნებით სარგებლობის სურვილი. ეს მხარე ესაჭიროებოდა ინგლისს, როგორც სიმდიდრის წყარო, როგორც მოედანი აღებ-მიცემობის სავარჯიშოდ.

როცა კაცს ერთი რომელიმე აზრი გაიტაცებს, ეს აზრი იმ გვარად დაიმონავებს ხოლმე, რომ არც-კი ჰგრძნობს, რაც გარეშემო ხდება. მისი გრძნობა-გონება, ვითარცა ყრუ და ბრმასი, დახშულია სხვა ყველაფრისათვის და მთელის თავისის არსებით გატაცებული ამ აზრის განხორციელებით, არ დასდევს არც საშუალების საზიზღრობას, არც მის უკანონობას. მის დაბნელებულ და დაყრუებულ თვალში ყოველი უკანონო და საზიზღარი საშუალება თვით უმანკოებას წარმოადგენს, ოღონდ ეს საშუალება სავარგისი იყოს მის აზრის განსახორციელებლად...

სწორედ ამ გვარად იქცეოდა ინგლისი კაპლანდიაში. ჩაიგდო-რა ხელში კაპლანდია, ინგლისმა წურბელასავით დაუწყო წოვა კაპლანდიის და არ დაიზარა არა-რა საზიზღარი საშუალება იმისათვის, რომ ამ ბურების სამშობლოდან, რაც შეიძლება, მეტად ესარგებლნა.

ამ გვარ მის სურვილს დიდად აფერხებდა ის გარემოება, რომ კაპლანდიის მდიდარი მიწები ბურებს ეჭირათ. ცხადია, უპირველეს ყოვლისა ინგლისმა გადასწყვიტა ამ დაბრკოლების თავიდან მოშორება და ბურებისაგან ამ მდიდარ ადგილების ჩამორთმევა. ხოლო თუ სხვებისათვის ამის მიღწევა ძნელი იყო, ინგლისს ამისათვის დიდი თავის ტეხა არ დასჭირდა: მას უკვე ჰქონდა გამოკვლეული ის გზა, რომლითაც შეიძლებოდა ამ განზრახვის ასრულება და სწორედ ამ, არა ერთხელ მის მიერ ნახმარ, გზას დაადგა ბურების განსადევნად თავიანთ ფერმებიდან. ეს გზა იყო ყველა ის საშუალებანი, რომლითაც-კი შეიძლებოდა ბურების ეკონომიურად დაუძლურება. ინგლისმა ჩაიგდო ხელში ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, გახდა კაპიტალისტი და ამ კაპიტალით დაუწყო ბურებს ეკონომიური ბრძოლა. ბურთა შორის ვაჭრობა და აღებ-მაცემობა სრულებით არა ვრცელდებოდა. რა იყო ამის მიზეზი? იმ ვაჭბატონების ჭკუით, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ვაჭრობის და აღებ-მიცემობისათვის რაღაც ნიჭი არის საჭირო, ამის მიზეზი, ცხადია იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ბურებს ვაჭრობის ნიჭი არ ჰქონდათ. ხოლო ჩვენ კი ნებას მივცემთ ჩვენს თავს არ დავეთანხმოთ ამ გადაჭარბებულის ჭკუის ნაყოფს. ჩვენის აზრით, იმის მიზეზი, რომ ბურთა შორის ვერ გავრცელდა აღებ-მიცემობა და ვაჭრობა, იყო ბურების პსიხიკის განსაკუთრებული თვისება და მათი სოციალური მდგომარეობა. ამ მხრივ ბურები ძალიან გვგვანან ჩვენ, ქართველებს. ისინი ყველანი მიწის პატრონები იყვნენ და მიწის შემუშავება იმდენ შრომას მოითხოვს კაცისაგან, რომ არა რჩება დრო სხვა გვარ მრეწველობისა და წარმოებისათვის. ვაჭრობას ბური ყოველთვის ისე უყურებდა, როგორც მოქმედებას, დამყარებულს სხვის მოტყუებასა და ცარცვა-გლეჯაზედ. მისი პატიოსანი, კაცთ-მოყვარე ხასიათი ეწინააღმდეგებოდა ამგვარ მოქმედებას. მას ეზიზღებოდა ვაჭრობა და ამის გამო არ ჰკიდებდა ამ ცოდვიან საქმეს ხელს. რამდენად მართალი იყო ეს აზრი, ჩვენ ამის ახსნას არ გამოვუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის ვაჭრობა, რომელსაც წარმოადგენს სხვისის ფაბრიკატის და მეტადრე ადგილობრივ ნაწარმოების გაყიდვა, მართლადაც საზიზღარია არამც თუ თავისის ხასიათით, არამედ იმ მავნებლობითაც, რომელიც შეუძლიან მოუტანოს საზოგადო ცხოვრებას *). ამითი აიხსნება, ჩვენის აზრით, ის, რომ ბურებმა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმე ახლო არ მიიკარეს. მიუხედავად ამისა, ბურებს თავიანთ საცხოვრებლად სხვა წყარო ჰქონდათ. ის, რასაც მათ აძლევდა მიწის მოვლა და შემუშავება, საკმარისი იყო მათთვის და ისინიც კმაყოფილნი იქმნებოდნენ, რომ ეს საქმეც არ გაეძნელებინათ ინგლისელებს მათთვის. როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, იმის შემდეგ, რაც ბურებმა გოტენტოტები ველურ ცხოვრებას გადაარჩიეს, გოტენტოტები ბურების ფერმებს ისე მიეჩვივნენ, რომ არ შორდებოდნენ და სხვა-და-სხვა გვარად ეხმარებოდნენ ბურებს მიწის შემუშავებაში. ინგლისელებმა განიზრახეს ბურებისათვის გამოეცალათ ხელიდგან ეს მუშა ხალხი ღ ამგვარად უმუშებოთ დაეტოვათ. ვითომ და გოტენტოტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ინგლისმა გამოუცხადა გოტენტოტებს, რომ მიენიჭათ თავისუფლება და ნება აქვთ ბურების ფერმები მიატოვონ და, საცა ჰსურთ, იქ წავიდნენ. გოტენტოტის ბავშურმა ჭკუამ დაუჯერა ინგლისს, რომ ეს მათთვის სასარგებლოა და გოტენტოტები განშორდნენ ბურების ფერმებს. რასაკვირველია, ის ვინც გოტენტოტთაგან მიიღო ქრისტეს სარწმუნოება და ბურების სკოლაში აღიზარდა, ისევ დარჩა ბურის ფერმაში და არ განშორებია, მაგრამ ეს გოტენტოტები ისე ჰყავდათ ბურებს განებივრებულნი, რომ მათი მუშებათ გამოყენება ძნელი იყო. ხოლო ყველა სხვანი-კი გაიფანტნენ ისევ ტყეებში და დაუბრუნდნენ თავიანთ ველურ ცხოვრებას. დარჩნენ ბურები უმუშებოთ და ამ გარემოებამ მეტად შეაფერხა მიწის შემუშავება და ფერმების მოვლა. ხოლო ბური მარტო იმაზე-კი არ ტიროდა, რომ ის უმუშოთ დარჩა. არა, მას გული დასწყდა, როცა დაინახა, რომ ის დიდი შრომა, რომელიც მოიხმარა გოტენტოტების ველურ ცხოვრებიდგან გამოსაყვანად და კულტურულ ცხოვრების კვალზე დასაყენებლად, უნაყოფოდ გაჰქრა და გადაყლაპულ იქმნა ერთბაშად იმ ტალღისაგან, რომელიც დაეცა კაპლანდიის ყველა წმინდა და პატიოსანის საქმის წასალეკად! ბურები, აქნობამდე დარწმუნებულნი, რომ მათ აასრულეს წმიდა მისსია განათლებულ და ქრისტეს რჯულის მორწმუნე ევროპიელისა ამ მხარეში, ველურ ხალხთა შორის, გაოცებული იყვნენ ყველა იმით, რაც მოიქმედეს ინგლისელებმა ამ ველურ ხალხის სავნებლად. რასაკვირველია ყველა ბური დაღონებული იყო იმით, რომ გუშინ ტყეებიდან გამოყვანილი, კაცად ქცეული და გაპატიოსნებული გოტენტოტი დღეს ისევ უბრუნდებოდა თავის ტყეებს და უნდა დაეწყო ძველებური ტანტალი და ველური ცხოვრება! ის ატირდა, როცა დაინახა, რომ ასეთის დიდის სიფრთხილით და ცდილობით მის მიერ აგებულს ტაძარს ანგრევს ის ევროპიელი, რომელსაც დანგრევის მაგივრად ტაძრის გამშვენიერება და გამაგრება ედო ვალად სწავლა-განათლებისაგან! მას არ უნდოდა დაეჯერა, რომ განათლებულს ინგლისელს შეეძლო ასეთი მძულვარება გამოეჩინა საწყალ ერისადმი, იმ ველურ ხალხისადმი, რომელსაც თვით ღმერთის მეტი არავინ ჰყავდა ქომაგი! არ უნდოდა ყველა [illegible] დაჯერება, მაგრამ მას-და საუბედუროდ [illegible] თვით [illegible] ამ ჭეშმარიტებას, რომ განათლებულ ევროპიელთა შორისაც არიან ისეთნი, ვინც, არამც-თუ ადამიანთა, არამედ თვით ღმერთის მიერ დაწესებულს კანონებს დაარღვევენ ხოლმე!..

დაუძლურა-რა ქონებრივად ბურები, ინგლისმა შეუდგა ბურებ[illegible] თუმცა ბურებს თავიანთ ახალშენის კონსტიტუციონური *) [illegible] არა ჰქონდათ დამთავრებული, მაგრამ ყველა ის, რაც ამ აზრით დააწესეს ბურებმა, მიაგავდა და დამყარებული იყო დემოკრატიულ რესპუბლიკის წესზედ. ყოველ საქმეში: სამართლის აგებასა, კანონმდებლობის განხილვასა და დაწესებაში და საზოგადოთ ყოველ საზოგადო საქმების განხილვაში წარმომადგენელთა ბჭობა ჰქონდათ შემოღებული. ეს ცოდნით და გამოცდილებით დაწინაურებულნი, რომელთაც ჰქონდათ მინდობილი საქმების მართვა, იკრიბებოდნენ ერთად და არჩევდნენ საზოგადო საქმეებს და განაგებდნენ სამართალს. ხოლო ყველა უკანასკნელნი თავიანთ შორის ამოირჩევდნენ ხოლმე ერთს, რომელიც [illegible] ახალშენის წარმომადგენელი იყო. ამ წარმომადგენელს პირველს ხანებში გუბერნატორს უწოდებდნენ, ხოლო შემდეგ, როცა ბურებმა დაამთავრეს თავიანთ რესპუბლიკის კონსტიტუციონური წეს-რიგი, დაერქვა პრეზიდენტი. იმის შემდეგ, რაც ინგლისმა დაიმორჩილა კაპლანდია, ბურებს კაპლანდიის თავიანთი გუბერნატორი, რასაკვირველია, აღარა ჰყავდათ, ხოლო თვით მმართვე[illegible] და თავიანთ საზოგადო საქმეების წარმომადგენლების მიერ განხილვა-კი [illegible] ისევ შერჩათ და ასე თუ ისე [illegible] საქმეების განხილვა, მოვლა რიგი[illegible] ქმებისაც და ინგლისმა ყოველ[illegible] მმართველობა [illegible] საზოგადო [illegible] ხილვა აუკრძალა ბურებს. [illegible] თავიანთ საქმეების განსახ[illegible]

---

*) იხ. „ივერია“ № 128.

*) რაც შეეხება იმ აზრს, ვითომ ვაჭრობისათვის რაღაც ნიჭი არის საჭიროო, ჩვენის აზრით ეს ვაჭრობის მოტრფიალეების უდიდეს შეცდომას წარმოადგენს. ჩვენ გვგონია, რომ ვაჭრობა ნიჭის-კი არა, უნიჭობისა და ჭკუის სიღარიბის დამამტკიცებელია. კაცი, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ფული შეიძინოს, ხოლო ვერაფრის გაკეთებას და შემუშავებას ვერ ახერხებს ფულის შესაძენად, გარდა სხვის ნაწარმოებს ჰყიდულობს და მომეტებულ ფასად ჰყიდის ამისათვის, ამგვარი კაცი სხვისის ჭკუის ნაყოფით ვაჭრობს და ამით ნათლად ამტკიცებს, რომ თვით ჭკუას არაფრის წარმოების ნიჭი არა აქვს და ამ მხრივ მეტად სუსტია. ავტ.

*) ჩვენ ამ სიტყვას ვხმა[illegible] რადგანაც ჰხმარობენ [illegible] სახელმწიფოს მართ[illegible] მოსახსენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შეღავათი, რაც შემოღებული როტშილდის ქარხნებში მომუშავეთათვის. მანთაშევის ქარხნებში მომუშავეთ უკვე ამოირჩიეს თავადი ლევან გურიელი, რომელსაც დაავალეს იშუამდგომლოს ქარხნის გამგის წინაშე მათის თხოვნის დასაკმაყოფილებლად. თავადი ლევან გურიელს უკვე მოულაპარაკნია ქარხნის უფროსთან და იგიც დაჰპირებია აღმოუჩინოს თავის მუშებს შემწეობა და გააწესრიგოს სამუშაო ფასი და დრო ისე, როგორც იქნება შემოღებული როტშილდის ქარხნებში. რასაკვირველია, ამას სხვა ქარხნებში მომუშავენიც მიჰბაძავენ და იმედია, რომ ყველა მძიმე უღლის გამწევს ერთნაირად შეუმსუბუქდება საქმე. ამ შემთხვევაში თავად ლევან გურიელის ღვაწლი დიდად პატივსაცემია, რომ ესე მარჯვედ მიჰყავს საქმე თავის შუამდგომლობით მომუშავეთა და მექარხნეთა შორის.

—

იქიდამვე გვატყობინებენ: ერთმა ახალმა ამბავმა ძალიან ცუდად იმოქმედა აქაურ ვაჭრებზე. როსტოველ ცნობილ მილიონერს, ბ-ნ კოშკინს, რომლის ქონებაც 16—20 მილიონს უდრიდა, აქ, ბათუმშიაც, ჰქონდა განყოფილება რკინეულობისა და საგენტო საკუთარ გემებისა. გუშინ-წინ მოულოდნელად ამ საწყობის ზედ-წარწერაზედ გამვლელ-გამომვლელი კითხულობდა: „Администрація по дѣламъ И. С. Кошкина“.

—

ქუთაისი. გამგეობის წევრად ამოირჩიეს დავით ბესარიონის ძე მდივანი, საქალაქო მდივნად—ვლადიმირ ნიკიფორეს ძე კანდელაკი, საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო კრებაზედ დასასწრებლად—დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი („ცნ. ფ.“).

—

ყოველ დღე, დილის რვა საათზედ ბათუმიდგან გამოდის დილიჟანი და მიდის ბორჩხაში, ბორჩხიდგანაც სამს საათზედ გადის და მიდის ბათუმში. გზის მანძილი 43 ვერსია და ღირს ერთი მანეთი კაცის თავზე.

აგერ ორი თვე არის, მუშაობს ხონელის ვ. ბატაძის დილიჟანი. მგზავრთ ძალიან გაუადვილდათ მიმოსვლა, უმეტესად ართვინის მცხოვრებთ.

—

ბათუმ-ახალციხის გზა-ტკეცილზე ფოსტამ უნდა იაროს—ეს [illegible] გადასწყდა. ბათუმიდგან ახალციხემდე 149 ვერსია. ყველგან რკინისა და ქვის ხიდებია, აგრეთვე საშიშ ალაგას ქვის კედლებია ამოყვანილი. ფოსტის შენახვა აღებული აქვს ჩერნიაევს. ამან უკვე სადგურების შენება დაიწყო.

—

ლეჩხუმი. ამ ჟამად ლეჩხუმელთ სამწუხა ს, სახრუნველ და სალაპარაკო საგანს დგენს გზა და ხიდი. მართლაც დიდს განსაცდელში არიან მკვიდრნი უგზო-უხიდობისა გმო.

ეს ორი თვეა, რაც ლეჩხუმში ვცხოვრობ და კვირაში ერთხელ მაინც გავიგონებ ხოლმე, იქა და იქ გზა ჩამოიქცა, ანუ ხიდი წაიღო წყალმაო.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ისედაც უკან ჩამორჩენილს ლეჩხუმის მაზრას, თუ უგზობაც ზედ დაემატა, ხალხი, როგორც ნივთიერად, ისე გონებრივადაც დაეცემა, იმიტომ, რომ აქაური ხალხი უფრო მიწის მუშაობას ეტანება და თუ თავის დროზე ყანას ვერ მოუარა, ვენახს ვერ მიეშველა და თავის დროზე ჭირნახული ვერ შემოიტანა, რასაკვირველია დიდად იზარალებს. ლეჩხუმის მიწასა და ხალხს-კი, არა თუ დიდის ზარალის, მცირედის ატანაც არ შეუძლიან.

ასაცილებლად ზემო-ხსენებულ მოვლენისა, საჭიროა მიექცეს ყურადღება იმ გზებსა და ხიდებს, რომელიც მეტს სარგებლობას მოუტანს მცხოვრებთ.

პატივცემულ „ივერიის“ მე-№ 112 ეწერა: „გუბერნიის მართებლობას გადაწყვეტილი აქვსო საყოველთაო გზა გაიყვანოს ხონიდგან ლვედის ტყით ცაგერამდისო. ეს ახალი გზა სამს მაზრას: ქუთაისისას, სენაკისას და ლეჩხუმისას გაუწევს სამსახურსო“. ამ ამბის მაუწყებელს არ სცოდნია ამ გზისა და ლეჩხუმის მდებარეობა. ამ გზიდგან ლეჩხუმის მცხოვრებნი შორს დარჩენილნი იქნებიან და ეს მაზრა შესამჩნევად იზარალებს, რადგან მთლად მოწყვეტილი იქნება დიდისა და გატკეცილ შარადამ. სულ ცოტა, მაზრის სოფელთა სამი წილი 25—35-ის ვერსით დაშორებული იქმნება ამ გზიდან.

ამ ჟამად დიდი კამათი და მითქმა მოთქმაა შესახებ მაზრის სასამართლოს დაწესებულებისა. მკვიდრნი სამ დასად არიან დაყოფილნი. ერთი მხარე ამტკიცებს, ისევ ცაგერში სჯობია დარჩეს მაზრის სასამართლოო. მეორე წინააღმდეგია და გვარწმუნებენ, ლაილაშას სჯობია იყოსო, მესამენი ამბობენ, ორივეს ახალქალა სჯობიაო. პირადს ინტერესებს საზოგადო სარგებლობა არ უნდა ვანაცვალოთ.

ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება გუბერნიის უმაღლესმა მართებლობამ დანიშნოს კერძო კომისია და დაავალოს მას გამოკვლევა იმისი, თუ რა მიმართულება მიეცეს და სად დაწესდეს სამმართველო.

ლ. დაგდაშდან-გელან-სვანი.

—

ეფრატი. მდებარეობს ბათუმიდგან ასი ვერსის მანძილზე, მდ. მაჭახელის ხეობაში, კარჩხალის მთის კალთაზე. იგი ძველინდელი სოფელია. დღეს მასში 15-მდე მოსახლეა. ეფრატსა და მის მახლობელ სოფლებში—ზედ-ვაკეს, ზედა-ხერთვისს, გორგაძეთს და ქვაბის-თავს რიგიანი გზები არა აქვთ. აქაურების ფიქრით გზის გაკეთება ცოდვაა. საჭირო რომ ყოფილიყო კარგი გზა, ბუნება მოგვცემდაო. ეგენი ამბობენ, უკეთუ კარგი გზები გვექნება, უცხო კაცნი ადვილად შემოვლენ ჩვენს ქვეყანაშიო და ოჯახს დაგვეკარგებაო. ამათ საკმაოდ ჰყავთ თხები, ცხვარი და ძროხა. ნაწველიდგან რჩებიან, ხორცს თითქმის არა ხმარობენ, ქათამს ინახვენ მხოლოდ კვერცხისათვის. ფრიად ნოყიერი საბალახოებია მთასა და ველზედ. სხვაგან მზე სწვავს ბალახს, აქ-კი, სამჯერ სთიბავენ მას. მთა-ველის ტყეებში სკები აქვთ დადგმული ხეებზედ. არის ისეთი ხეც, რომ ზედ ოც-და-ათი ბუკი (სკა) არის დადგმული. გაზაფხულზე მთელს ტყეს ბუზუნი გააქვს, რადგან ფუტკარი გაცხარებულად მუშაობს. თეთრი თაფლი, კრიჭუჭი და სანთელი ას ფუთობით იყიდება ყოველ წელს; მყიდველები ართვინელი ფრანგები არიან. იგინი თაფლს ინახვენ ჭურებში, გაჭრებს გუდებით გააქვთ. ადგილი ფრიად საღია, არავითარი ავადმყოფობა არ იცის. წამალს აქ არ ხმარობენ და სიკვდილითაც ცოტა დაიხოცებოდა, თუ ავი კაცები ხშირად სიცოცხლეს არ უსპობდნენ კაცს. მოხუცებული კაცები შეიყრებიან ხოლმე ხის ქვეშ, ხუმრობენ და ნახულსა და გაგონილს ყველას უთხრობენ და ულექსავენ ერთმანეთს.

მოხუცმა მემედ-სული-ოღლიმ გვითხრა—სამგზავრო გზები გვქონდაო, აქედგან მიდიოდნენ შავშეთს, არდანუჯს, ართვინს და არდაგანსაცო.

ეფრატის ზემოთ ორი ციხე არის. ერთი ამათგანი მაღალ გორაზეა, შიგ ორი ბუხარი აქვს. ბუხრები შიგნიდგან ქაღალდივით თეთრი ქვით არის აგებული. ასასვლელთან ორ ადგილას დიდრონი ქვებია, რომელთაც გარშემო საჯდომი ქვები უდევთ. ყველა ამ ქვებზე ტყეა გადაზრდილი. მეორე ციხე უფრო საყდარს წააგავს და ორივეს დედოფლის კოშკს უძახიან.

«იმა კოშკებშიო, დაიწყო მოხუცმა მემედიმ, დედოფალი სცხოვრობდა ზაფხულობითაო. იმ დედოფალმა, თუმცა ქართული იცოდაო, მაგრამ სჯულით თათარი იყოვო“.

აქ შენიშნეს, რომ რჯულითაც ქართველი იქნებოდაო. ამ თქმაზედ მემედმა დაკარგა მადა დაპარაკისა, ნიშნად იმისა, რომ სჯულით ქართველებს ამ წმინდა სათათრეში რა უნდოდაო!

კარგა ხნის შემდეგ დაიწყო მხიარულად უბნობა.

ქართველებს ჩვენ ვდევნიდითო. კაი ოც-და-ათის წლისა ვიყავითო, რომ ყამდა იყო, ოზურგეთს გავედით, იქიდგან საკირეს, საკირედგან ნიგოზეთში დაგვეცა რუსი ბასკინით, მოდინდა ჩვენი ესკერი სოფლად, ჩვენ ვიყავით, გარდა მიზამ ესკერისა, მთელი აჭარი, მაჭახელი, ჩურუქსუ, ლაზიკა, ამგენი ცალ-ცალკე ბაში-ბუზუკებს შევადგენდით; მე ჩაუში ვიყავი, ეფენჯე-შეხედული დელიყალნი; მივადექით სუფსას გასასვლელად, ბევრიც ქე გასულიყვნენ, ბევრი მივედით ერთად, ზოგი თოფით, ზოგიც უთოფოდ, ბოლო დროს მიხთენ, გამოქცეულნი ვიყავით. სამძიმა ნავის გაყვანა და და მეიყარნენ; ქართველებმაც შეგვატყეთ, საქმე ხთებოდა, დავზიზინდით ქვეით, სადაც წყალმა თან-და-თან იმატა, ფეხ-და-ფეხ ვერ გავერხეთ გასვლა, წინა დღიდგან უჭმელი კაცები ერთი მდიდრის ეზოს მივაყურეთ, კაცი ვერავინ დავინახეთ და ჩავედით ეზოში; ქალები გამევიდნენ, ოთხმახუთმა გვკითხა ამბავი ყამდისა, ჩვენც არა დავმალეთ, ყველაფერში გამოვტყდით, აუხსენით, ტყვე ვართ, შიმშილით ვიხოცებით. იგინმაც მეიტანეს ჭადი, ყველი და სხვ. ჩვენ ვიყავით სამი, ყველაზე მთავარი მე ვიყავი. დაგვიფიცა ქალებმა რჯულზე, თუ დარჩებით აქაო, კაცები მოვლენ, ჩვენ საქმეს გაგიკეთებთ, კაცები არ გაგიჯავრდებიან, გზაზედ სალამეთზე მისვლამდინ გაგყვება კიდევაცაო.

დავიჯერეთ ჩვენცა. ბინათ ნალია მოგვცეს. მეორე დღეს შუა დღეზე მოვიდა მამა და ორი შვილი, თოფები ორ-ორი ემოვნათ, ქნეს დიდი სიხარული, ქალებმა მიულოცეს ეზოში მოსვლისათანავე გამარჯვება, შვიდობით შენი მოსვლაო. მერეთ სადილის დროს უთხრეს ჩვენი თავი. სამივე ჩვენკენ გამეიქცნენ, ვინ იცოდა რას გვიზამდენ, მარა ტკბილი ხმით გვითხრეს, ჩამოდითო. სადილი ბლომად მოგვცეს. მეორე დღესაც, დილით, წევიდეთ ბატონთანაო. ჩვენც გავყევით. სადამოს ჰირი იყო, დიდ კონახზედ ჩავედით. ეს არისო ბატონი ჩვენი და სასახლეო—თქვა ახალგაზდების მამამ, ჩვენ-კი აწნაურები ვართო. მივედით ბატონთან. ერთი ჩემი ამხანაგი ალი-ბეგი იყო, კარგი დელიყალნი იგიც. ალი-ბეგი და მე გაგვაგზავნა ცალკე სადგომშიდ. ბევრი იყო ტყვე თათრები, რომელიც მეორე-მესამე დღეს ყველა გაგზავნეს მათი სახლებისკენ. ერთ კვირემდინ დავრჩით. რა სეირი ჩვენ არ ვნახეთ!

ერთი კვირის შემდეგ გვითხრეს, რომ ყოველ ორ თვეში ჩვენ თითო-თითოთ გევსულიყავით იმათსას, გვეთქვა აქაური მზადება და გასავალი ყველაფრისა.

მე არ გავსულვარ, ჩემი იმ დროის ამხანაგები, რავაც მეყურებოდა, დადიოდნენ და გლახა საქმეებს ჩადიოდნენ.

გაათავა მემედმა და ახლა სთხოვეს, ბარემ ლექსიც გვითხარიო. „ქართველს ქართულიო“, დაიწყო მემედამ, ასრე მღეროდენ ქალებიო და იმათში დესპინე ბატონიშვილი ყველას სჯობდაო.

აქვე ვურთავთ ამ ლექსებს:

საწყალობელო მუშირო,
რა დაგემართა გუშინო,
ჩოლოქზე რომ გამობრძანდი,
ქე გაგახვიეს ფუტშიო,
შენი საქმე ბინბაში
გამოგითრიეს გვიმბრაში,
ქართველებმა დეიჭირეს,
ხმალი დაამტვრიეს თავში.

—

მათი ბორით და საყვირით
ფაშებს ველარსად აგზავნი,
თურმე იყო რამაზანი,
ბოგხთენოდა ზარბაზანი,
დღეი თუსკერას დასწერდი,
დამე ჭამე ტაფა მწვარი,
ვინც თუსკერას არ იყიდდა,
სახლი ჰქონდა მას დამწვარი.

—

მალაქიას გაუგია,
ესკერია დედვაშიო,
დესპინე ბატონიშვილი
ნაბადს ვკერავ სირმაშიო.
მალაქიას წამოვასხამ,
არ დასველდეს წვიმაშიო,
იგენსაც რო დეიჭირავს,
მაშვინ ნახე თამაშიო.

—

სამბაშ ოღლიმ დესპინე ბატონიშვილს გაუგზავნა ეს ლექსი:

ასი ოქრო ფარა მქონდა
და ორასი თუმანიო,
წაგვართვინა ქართველებმა,
ბოგვერია დუშმანიო,
დესპინე ბატონიშვილო,
ჩეგურისა კიმანიო,
არ შეგრჩებათ, დეიჯერეთ,
ჭვა გიდი ამანიო *)!

—

ვიფირალებ და ვიქნები,
ფარასაც არ მივცემ ყელში,
დედებსაც-კი ავატირებ,
შვილებს რომ მოვპარავ ტყეში.

---

*) დიდი ხანია, ვეძებდით ამ სიტყვას (=ამანი) ჩვენს ლიტერატურაში და სახალხო მწერლობაში და მხოლოდ დღეს შევხვდით. ისტორია ამ სიტყვისა ფრიად გრძელია და მრავალმეტყველი. მე-XV საუკუნეში ქრ. წინად ეგვიპტის მეფე რამზეს II და ხეტეველთა (ქალდეველთა) მეფე მაუთნური შეიბნენ. რამზესს გაემარჯვა. მაუთნაურმა სთხოვა შევრიგდეთ და ამანი ვქნათო. ვანის ლურსმურ წარწერებშიაც ეს სიტყვა ხშირად იხმარება. მისი აზრი და მნიშვნელობა ვერ გაგვეგო. ვნახეთ საბას ლექსიკონი და წავიკითხეთ: „ამანა—სარწმუნოება გინა ჭეშმარიტება“. ამავე აზრით ეს სიტყვა იხმარება აჭარულს ლექსში, მაუთნურისა და რამზესის მოლაპარაკებაში და აგრეთვე ვანურს წარწერებში. ამანადგან, რასაკვირველია, უნდა იყოს წარმოშობილი დღევანდელი ამანათი. მეფის არგისტის მე-X წარწერის მეექვსე სტრიქონში სწერია: a-ma-ni su-ga-ba-rium, რომელსაც მე ასე ვკითხულობ: ამანი (ესე იგი სარწმუნო კაცი) ჩოგაბარი (ინგ. ჩოგაბარი—ჩაგვაბარე; ქართ. ჩა=სვ. ჩუ; ო=ძველ. უ: ოფალი=უფალი და სხ.). იმავე მეფის მე-XI წარწერის მეათე სტრიქონში: ma-sa-ni ti-is-ni a-ma-ni-u=უფროსნი მისნი ამანია (სვან. მაშანი=უფროსნი, მეგრ. თიშნი=მისნი; tisni აქ, შეიძლება, იყოს თვისნიც, რომელიც სრულიად არა სცვლის წინადადების აზრს. ნუ გაგვიკვირდება, თუ ეს სიტყვა ზოგიერთ სხვა ერთა ენაშიაც მოიპოვება. ის ერნი ჯერ არც-კი იყვნენ დასახლებულნი, როდესაც ქალდთა ცივილიზაცია და კულტურა, თვით ეგვიპტის ცივილიზაციის უწინარესად, უმაღლესად აღყვავებულ იყო.

მ. ჯ.

თავი. ყველა ამგვარი შეგროვება ბურე ბ გამოცხადებულ იყო კანონის დარღვე დ. ამგვარად ბურებს უწინდელს თავისუფლებას მოეღო ბოლო და ეს თავისუფლებისათვის თავის სამშობლოდგან გამოხიზ ენი, ეს თავისუფლების მოტრ პატრონებს დაუჩვევარი ხალ ში ინგლისის ჯარის-კაცთ, გადაეცა ყოველგვარი მარ

მოსადგენია, რასა ჰგრძნობდა ში ბური. ის ჯოჯოხეთური ლიც გამოიარეს ჰუგენოტებმა დაიარავებული გული, რო ობდა მათ ხანგრძლივს ტანჯვას თავისუფლებისათვის, ის ქრი ნიც ღაღადებდნენ მტარვალ შეუბრალებლობას—ყოვე განუახლდა მათ. ამგვარ და სთი კაპლანდიაში დარჩენა შეუძლებელი შეიქმნა. ინგლისელებმა გადაამტერეს ბურებს ამ უკანასკნელთა ფერმებიდგან გახიზნული გოტენტოტები და შემოუსიეს მათს ფერმებს კაფრები. კაფრები მოსვენებას არ აძლევდნენ ბურებს, ხოლო ამ უკანასკნელებს თავისი გარნიზონი აღარა ჰყავდათ და ინგლისის გარნიზონი ხომ ყურადღ აქცევდა კაფრების ოინებს. მენტს მოემატა მთელი ყველ ინგლისელთა. ისის კოლონიათ იყო ალშენი ინგლისის მთა დასასჯელ ალაგად და კაპ ვნიდნენ ხოლმე ყველა დას ს. ამგვარად რამდენისამე ხნის კაპლანდია გაივსო დასჯილე შორის, რასაკვირველია, უმე არმოადგენდნენ ზნე-დაცემუ გვარ ავაზაკობას და ცარცვას ედივისტები *).

ვერ გაუძლეს ამდენს ვაგლახს ბურებმა და გადასწყვიტეს კაპლანდიიდან გადასახლება. **1837-ს წელს** ამოირჩიეს ერთი თავიანთ შორის სახელად **რეტიფი** და მას მიანდეს წინამძღოლობა ამ საქმეში. რეტიფმა გლადსტოუნში გამოაცხადა მანიფესტი შემდეგის შინაარსისა: „**მე და ჩემმა მეგობრებმა, გადავწყვიტეთ-რა, რომ ჩვენს უწინდელს სამშობლოს ვერ დავიხსნით იმ შემოსეულთაგან, რომელთაც ჩაგვიგდეს ხელში და მონებათ გვაქციეს, საჭიროდ ვცანით მოვძებნოთ ახალი საცხოვრებელი მიწები და გავშორდეთ ამ შემოსეულებს. ჩვენ უკვე მოვიძიეთ ისეთი ადგილი, რომელიც ჩვენთვის არა ნაკლებ კაპლანდიისა მოხერხებულია საცხოვრებლად**“.

ამ მანიფესტის შემდეგ ბურები გაემგზავრნენ ამ ახალ ადგილისაკენ, იქით, საცა დღეს ნატალის საგუბერნატორო იმყოფება. რა თქმა უნდა, ინგლისელებმა ბურებს გადასახლების დროს ყველაფერი, რასაც მოასწრეს, წაართვეს და აუოხრეს ფერმები. იმას გარდა, რისიც წაღება ვერ შეიძლეს, ბურებს კაპლანდიაში დარჩათ 280,000-დე ცხენი, ხარი და ცხვარი ინგლისელთაგან წართმეული; სახელდახელოდ ჩაილაგეს მათ თავიანთ ურმებსა და „კიბიტკებში“ საჭირო ავეჯი და გზის საგძალი, წამოასხეს რამდენიმე ხარი და ცხვარი გასაშენებლად და გაუდგნენ გზას. **რეტიფმა შეისყიდა** ერთის კაფრთა ტომის წარმომადგენელისაგან მიწები და ამ ალაგას დასახლდნენ და მოეწყვნენ ბურები. ბურები ამ რეტიფის წინამძღოლობით კაპლანდიიდგან გადასახლებას შეადარებენ ხოლმე ებრაელთა ეგვიპტიდგან გამოსვლას...

ბურები ნელ-ნელა შეუდგნენ თავიანთ ფერმების დაარსებას და ვენახების გაშენებას.

მათი ახალი მიწები, მართლადაც, კაპლანდიის მიწებზე უფრო ნოყიერი გამოდგა და კარგს მოსავალს აძლევდა ბურებს. ხოლო მათ საუბედუროდ, რეტიფისაგან შესყიდული მიწები არ ჰყოფნიდათ და ამ მხრივ ბურები ძალიან შევიწროვებულნი იყვნენ. გარშემო ერტყათ მოუსვენარი კაფრები, რომელთაც ეჭირათ თავიანთ კარვებით დიდი ადგილები და, თუმცა თვითონ მიწას არ ამუშავებდნენ, მაგრამ ამ მიწებს არავის უთმობდნენ. სინჯეს ბურებმა კაფრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება და მიწების შევაჭრება, მაგრამ კაფრებმა არასფრით არ მოინდომეს ამ მიწების გაყიდვა. ამგვარ მდგომარეობიდგან ბურები გამოიყვანა ერთმა შემთხვევამ.

1838 წელს ერთი კაფრთა ტომის წარმომადგენელი დაეცა თავისის ქვეშევრდომებით ბურების ფერმებს და ბურებს ამოხოცვას უპირებდა. რასაკვირველია, ბურებმა მოიკრიფეს თავი და თავისებურ მამაცობით და ოსტატობით ისე გაბერტყეს კაფრები, რომ ძლივსღა მოასწრეს გაქცევა. ერთი ჯგუფი ბურთა გამოეკიდა უკან კაფრებს. როცა კაფრები მიუახლოვდნენ თავიანთ კარვებს, ერთბაშად დასცეს ყიჟინა და შეებნენ ბურებს. ამ კაფრებს მოემატა ერთი სხვა ტომიც და მათი რიცხვი ერთი ათად გამრავლდა. ასტყდა საშინელი ბრძოლა, ესრედ წოდებული **ომგინგინგლოვასთან**. ბურები რიცხვით 347-მდე იყვნენ და წინამძღოლებათ ჰყავდათ **პიტერ უისი** და **იაკობ პოტგიტერი**. ბრძოლამ გასტანა კაი ხანი. დიაღაც მარჯვედ და თავგანწირულად იბრძოდნენ ბურები, ეს უშიშრობით ვეფხვების მზგავსი მეომრები, ხოლო კაფრები რიცხვით იმდენნი იყვნენ, რომ თითო ბურს ათამდე კაფრი ეხვეოდა. უმეტესი ნაწილი ბურებისა მოკლულ იქმნა და ისინიც, ვინც კიდევ ცოცხალი იყო, იმედ-დაკარგულები თითქმის მზად იყვნენ დაჰპატრონებოდნენ კაფრებს და მიეტოვათ ბრძოლა, ხოლო ამ დროს პიტერ უისმა, რომელსაც თვალ-წინ მოუკლეს კაფრებმა შვილი შვილის-შვილი, შეჰყვირა თავის მეომრებს: ,,არიქათ, ძმებო, თუ არაფერი მოვუხერხეთ ამათ, სამშობლო აგვიოხრდებაო‘‘ და თვითონ შევარდა კაფრების შუა-გულ და დაუწყო ჟლეტა. პიტერ უისისაგან გამხნევებული ბურები მიჰყვნენ უისს და ისეთი დღე დააყენეს კაფრებს, რომ სამუდამოდ დააშინეს ყველა კაფრი და ეს ორი ტომი ხომ ამას შემდეგ აიყარა იმ ადგილებიდგან და შორს გადასახლდა.

ცოტა გადარჩა ამ 347 ბურთაგან ცოცხალი, მაგრამ სამაგიეროდ ბურებს დარჩათ კაფრების ამ ორის ტომის მიწები და მათ ახლა შეეძლოთ საკმარისად მოთავსებულიყვნენ და მოწყობილ იყვნენ. ამასთანავე კაფრებიც ძალიან დააშინეს, ასე რომ შიში აღარა ჰქონდათ, რომ კაფრები კიდევ შეაწუხებდნენ.

ახლა-კი ბურები შეუდგნენ თავიანთ ფერმების მოვლას და ახალშენის მოწყობას. მათ საუბედუროდ ყველა იმ შავკანიან-ველურ ხალხთა შორის, რომელნიც მათ გარშემო იმყოფებოდნენ, არც ერთი არ გამოდგა ისეთი, რომელიც შეიძლებოდა მიეჩვიათ ბურებს თავიანთ ფერმებში მუშაობას და, რაკი დარწმუნდნენ, რომ ეს ასე იყო, თვითონაც მიატოვეს დროებით ეს თავიანთი მისსია. იმ შავკანიანთა გარდა, ვინც აღიზარდა ბურის სახლში და ბურთან ერთად გადმოსახლდა აქ კაპლანდიიდან, ბურების ახლანდელს ფერმებში თითქმის ვერავის ნახავდით შავკანიანს. მიუხედავად იმისა, რომ მუშა-ხალხი არ ჰყავდათ, მაინც თავის მხნეობით და დიდის ჯაფით მიაღწიეს იმას, რომ მათი ფერმები, როგორც კაპლანდიაში, დამშვენდნენ საუცხოვო ბაღებითა და ვენახებით. ახალს თავიანთ სამშობლოს ბურებმა დაარქვეს „**ნატალი**“ და დააარსეს დედა ქალაქი „პიტერმარიცბურგი“. 1840 წელს ბურებმა მოაწყვეს თავისი მმართველობა, დაიარსეს გარნიზონი და ამ ნაირად ეს ახალშენი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მათ საუბედუროდ, ინგლისმა აქაც არ მოასვენა ისინი. შეუტყო-რა, რომ მოაწყვეს თავიანთი სახელმწიფო და გააშენეს ფერმები, ინგლისი გამოეშურა ამ ფერმების და ახალშენის დასაჭერათ. 1842 წელს ლორდი სტენლი, კაპლანდიის გუბერნატორი, მოადგა რამდენისამე გემით დურ ნს, ნატალის პორტს და აიღო ეს ქალაქი. შემდ ლისის ჯარი გამოვიდა გემებიდგან და დაიჭირა მთელი ნატალი. ლორდმა სტენლიმ ნატალი ინგლისის კოლონიათ გამოაცხადა და კაპლანდიის საგუბერნატოროს შეუერთა.

დაიჭირეს-რა ნატალი, ინგლისელებმა ისევ იმ მდგომარეობაში ჩააგდეს ბურები, როგორც კაპლანდიაში. ეხლა ინგლისის მთავრობამ ნატალი ამოირჩია დასჯილების გასაგზავნ ალაგათ. ნატალი აივსო ავაზაკებით და ქურდებით და ყოველ გვარად გარყვნილ და ზნე-დაცემულ ადამიანებით. ეს ელემენტი საშინელი შემაფერხებელი იყო მშვიდის ცხოვრებისა და ბურების მდგომარეობა იმაზე უფრო უარესი შეიქმნა, ვიდრე იყო კაპლანდიაში. რასაკვირველია, ინგლისის მთავრობამ აქაც გააუქმა ბურების თვით-მმართველობა და ქვეყნის მმართველებად ჯარის-კაცები დააყენა.

ბურებს აქაც სული შეეხუთათ და იძულებულნი შეიქმნენ აქედანაც გადასახლებულიყვნენ სხვა ალაგას. ხოლო სად და როგორ მოეშორებოდნენ ინგლისს?! ცხადი იყო, რომ ინგლისი მისდევდა ბურებს კვალ-და-კვალ და ბურებისაგან დამზადებულ და მოწყობილს ახალშენებს თვითონ ისაკუთრებდა. ამ მოვლენამ ძალიან დაალონა ბურები და ისინი შეიკრიბნენ იმის გამოსარკვევად, თუ როგორ უნდა მოეხერხებინათ, რომ მათ მიერ შემუშავებული ახალი ადგილები არ დაესაკუთრებინა ინგლისს. ბურებს მოეწყინათ მუდამ ახალ მიწების შემუშავება და სხვისთვის ბაღების გაშენება და ამ უბედურობის სამუდამოდ თავიდგან ასაცილებლად გადასწყვიტეს გადაკარგულიყვნენ, როგორც ჩვენ ვიტყვით ხოლმე, ცხრა მთას იქით, ისეთ ალაგას, საცა ინგლისი ვერ მიაგნებდა და კიდეც რომ მიეგნო, ასე ადვილად ვერ წაართმევდა მიწებს. ამ განზრახვით ბურები გადავიდნენ მაღალ, ესრედ-წოდებულ დრაკონის მთებს იქით და იქ კიდევ გავიდნენ დიდ მდინარის გაღმა და დააარსეს თავიანთი ახალი საცხოვრებელი.

გ. ი. გძელიშვილი,

(შემდეგი იქნება.)

ტერმინია და ჰნიშნავს იმას, ვინც ნიმეჯერ დასჯილა, მაინც არ იშლის ირთსა და იმავე დანაშაულს, ადვილად შესაძლოა, მეცნიერებამ შემდეგში რამე საშუალება მოიგონოს მათ გასასწორებლად, ხოლო დღეს-კი რეციდივისტი გაუსწორებელ კაცად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვინმე გამომეკიდა,
თავი წავათალო ქედში,
ხუცესმაც ვერ წაუკითხოს,
ზოგი ჩავტეს ტურის ხრეშში.

—

ქალი უნდა დაფარული,
ინით ხელი ებანოს,
თმაი წითლად შეღებილი
ამშვენებდეს მიდამოს,
სიმაურთან ვერ გამოჩნდეს,
მორიდებით ემალოს,
აქ სიხარული სამოთხე
იმ დუნიას ივარგოს.

ს. გ.

უცხოეთი

საფრანგეთი. გასულ სამშაბათს (7 მკათათვეს ახ. სტ.) საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მსჯელობა ჰქონდათ ოთხის „პირდაპირის“ გადასახადის კანონ-პროექტის შესახებ. დეპუტატმა ლოკრუამ განაცხადა, რომ სამწუხაროდ ეს პროექტი აგვიანებს „შემოსავალზედ“ გადასახადის შემოღებასაო. ფინანსთა მინისტრმა რუვიემ უპასუხა, რომ გადასახადთა რეფორმების მოხდენამდე საჭიროა ჯერ ხარჯთ-აღრიცხვა ავწონ-დავწონოთო; იმედი მაქვს, რომ ამას შუა ოქტომბრამდე განვახორციელებო. დეპუტატმა ბეჰილმა თავის გრძელ სიტყვაში რადიკალთა საფინანსო პოლიტიკა გაჰკიცხა. კანონ-პროექტს იცავდა დუმე—პრეზიდენტი საკრედიტო კომისიისა. მან განაცხადა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში შეუძლებელია „შემოსავალზედ“ გადასახადის გაწერა, მაგრამ კომისია იმედოვნებს, რომ პალატის სხდომათა განახლებისთანავე ეს პროექტი შემოტანილ იქმნებაო. ამის შემდეგ ჟორესის წინადადებით პალატამ შეისმინა დუმეს აზრი და პროექტის შემოტანა შემოდგომისათვის გადასდვა; პალატა მიმდინარე საქმეების განხილვას შეუდგა.

ინგლისი. როგორც მკითხველებმა უწყიან, ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა კაპის კონსტიტუციის გაუქმებაზედ. ამ განკარგულებამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია კონსტიტუციის გაუქმების მომხრეთა შორის. კაპშტადტელი გაზეთი „Cape Ardus“-ი აცხადებს, რომ ჩვენი საქმე საბოლოოდ წაგებულად არ უნდა ჩავთვალოთო. როდესაც კაპის პარლამენტი შეიკრიბება, ისევ იმ რეზოლიუციას დავადგენთ, რომ მთავრობამ შეიწყნაროს ჩვენი სურვილი და კონსტიტუცია გააუქმოსო.

ავსტრია-უნგრეთი. დამდეგ ენკენისთვეში ხელახლად გაიმართება მოლაპარაკება ჩეხთა და გერმანელთა შორის ნაციონალურ საკითხის შესახებ.

მრავალ სადაო საკითხთა შორის მთავრობა მხოლოდ რამდენსამე უფრო საყურადღებო მუხლს აარჩევს და ორთავე ერის წარმომადგენლებმა მათ შესახებ უნდა იქონიონ მსჯელობა. იმისდა მიუხედავად, თუ რა გამოირკვევა ამ კრებაზედ, მთავრობა შეიმუშავებს თავის წინადადებას პარლამენტში წარსადგენად და თავის მხრივ ეცდება, რომ ჩეხთა და გერმანელთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება როგორმე დააშოშმინოს. ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა 1903 წლის ბიუჯეტი, რომელშიაც ორივე ეროვნობის მოთხოვნილებას, განსაკუთრებით საერო განათლების საქმეში, ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული.

იტალია. ვატიკანის გაზეთ „Voce della verita“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი შემდეგის სათაურით: „Tutti amici“, „ყველა მეგობრებია“. ამ წერილში ავტორი საუცხოვოდ ასურათებს ევროპის დღევანდელ საპოლიტიკო მდგომარეობას და მეგობრობის გადამეტებულს სურვილს. დამტკიცდა თუ არა სამთა კავშირი, იტალიის მეფე მაშინვე პეტერბურგს გაემგზავრა; საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასსემ პალატაში თითქმის ხოტბა შეასხა განახლებულს სამთა კავშირს. ასე გასინჯეთ, ინგლისიც-კი მშვიდობიანობის მოყვარე გახდა: ჩემბერლენმა უარი სთქვა კაპის კონსტიტუციის გაუქმებაზედ. ერთი სიტყვით, მხოლოდ „კაცთა შორის მშვიდობიანობა და ქვეყანაზედა სათნოება“ გაისმის ყოველის კუთხით, და, რომ გაძლიერებული შეიარაღება არ ეჩხირებოდეს კაცს თვალში, ევროპა ნამდვილ სააქაო სამოთხედ ეჩვენებოდა, სადაც გარდა მშვიდობისა, კაცთმოყვარეობისა და ბედნიერებისა, სხვას არაფერსა აქვს ადგილი.

რასაკვირველია, უკმაყოფილონიც მოიპოვებიან. მაგ., თვით პატივცემული ვატიკანის გაზეთი მოგვაგონებს, რომ ერთმანერთს უპირდაპირებს ევროპის სახელმწიფოებსა და ამისათვის ყოველ ჟამს ადვილი მოსალოდნელია სახელმწიფოთა შეტაკება და მშვიდობიანობის დარღვევაო.

იმ დროს, როცა იტალიის მეფე ეპირებოდა რუსეთში გამგზავრებას, გამოცდილი კაცი, არა ოპტიმისტი, ბევრს საგულისხმო მოვლენას შეამჩნევდა ევროპის საერთაშორისო მდგომარეობაში.

სამთა კავშირი-კი განახლდა, მაგრამ რა პირობები დაედვა სარჩულად ამ განახლებას, ეს ყველასათვის საიდუმლოა. თუ დელკასსეს სიტყვას ვერწმუნეთ, ხელშეკრულობიდგან გამოურიცხავთ ყველა ის მუხლები, რომელიც ხელს უშლიდა იტალიისა და საფრანგეთის ნამდვილ მეგობრულ განწყობილებას. თვით ფაქტი სამთა კავშირის განახლებისა, „მიუხედავად იტალია-საფრანგეთის დაახლოვებისა და ავსტრია-გერმანიის გულ-გრილობისა“ ცხადსა ჰყოფს გერმანიის გავლენის გაძლიერებას. ეს გავლენა იმდენად ძლიერია, რომ იტალიამ და ავსტრია-უნგრეთმა ვერ გაჰბედეს ესარგებლათ მათდა სასარგებლოდ შეცვლილ მდგომარეობით და ისევ მოკავშირეთ დარჩნენ. კავშირი 1915 წლამდეა დადებული, მაშასადამე, ევროპა იძულებულია 13 წლის განმავლობაში ძალა-უნებურად დაიცვას „შეიარაღებული“ მშვიდობიანობა.

ცხადია, რომ „შეიარაღებული“ მშვიდობიანობის დაცვა მით უფრო ადვილი იქნება ხალხისათვის, რაც უფრო იშვიათად ექნებათ სახელმწიფოებს მტრობის მიზეზი. ამ მხრივ სწორედ სასიხარულოა, რომ ეხლა ყველა მეგობრებია, რომ ორთა და სამთა კავშირები ნდობასა და კეთილ განწყობილებას ამყარებს სახელმწიფოთა შორის.

მართალია, დიპლომატიისათვის უმჯობესი იქნებოდა, რომ სახელმწიფოთა შორის უფრო პირდაპირი და გამორკვეული დამოკიდებულობა ყოფილიყო, თორემ ამ გვარ „მეგობრობაში“ ძალიან ძნელი გასარჩევია, ვინაა ნამდვილი მეგობარი და ვინ არა. ამ ჟამად ევროპიელნი ასე თუ ისე კმაყოფილნი არიან დღევანდელის საპოლიტიკო მდგომარეობით. რაც შეეხება მთავრობათ, იგინი კიდევ უფრო მოწადინებულნი არიან, რომ statu quo დაიცვან, თუნდა რომ მიზეზიცა ჰქონდეთ მის დასარღვევად. აი, თუ გნებავთ, აიღეთ მაკედონიის საკითხი: როგორ ეკიდებიან დიდი სახელმწიფოები ამ საკითხს?

ერთი სიტყვით, დღევანდელ მდგომარეობაში ოპტიმიზმს სრულებით არა აქვს ადგილი; „შეიარაღებული“ მშვიდობიანობა თავისს ძალაშივე დარჩა; მხოლოდ ჯერ-ჯერობით მაინც მოსვენებითაა ხალხი და ესაც კარგი ღვთის წყალობაა. ასეთ პირობებში „რომის საკითხი“-ს შიში ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც „ხმელთა შუა ზღვის საკითხის“ გაზვიადება, რომელსაც გადამეტებულ ყურადღებას აქცევს იტალიის გაზეთობა. ლაპარაკი ამ ზღვაზედ იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის გაბატონების შესახებ დღეს სრულებით უადგილოა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ასეთ საკითხის წამოყენება, როცა «მეგობრობა» გაცვდება და გახუნდება.

მაგრამ საპოლიტიკო ინტერესებს გარდა კიდევ არსებობს ეკონომიური, რომელსაც პირველზედ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. ამ საკითხის გამო-კი ადვილად წარმოსადგენია სადამოჟნო ომის გამოცხადება თვით იმ გერმანიის მიერ, რომელმაც «შეიარაღებული» მშვიდობიანობა ჩამოაგდო ევროპაში. ეს გარემოება მუდამ ჟამს თვალ-წინ უნდა უდგეს ევროპას. თუ მართლა გერმანიამ ასეთი ომი ასტეხა (და ეს-კი ადვილად მოსალოდნელია, რადგან გერმანიის რეიხსტაგმა უკვე მიიღო სადამოჟნო კანონ-პროექტი), მეტად ცუდი გავლენა ექნება ევროპის საპოლიტიკო ინტერესებზედ, და დღევანდელი „ყველა მეგობრები“ ძალიან ადვილად შეიცვლება ფორმულად „ყველა მტრები“.

მადლობის გამოცხადება

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ შემომწირველთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს სოფ. ნაღვარევის (დუშეთის მაზრის) წმ. გიორგის ეკკლესიას ასაშენებლად. ქალაქ კავკავიდგან მღვდელმა ნებითი-ქრისტიანის ოსეთის სამრევლოსი მ. ნესტორ ბაკურაძემ 1 მან., სალომე ნელუბოვისამ 30 კაპ., მარიამ მჯანუაშვილისამ 25 კაპ., შაქრო ბარისაშვილმა 25 კაპ., ისააკ როინაშვილმა 20 კაპ., მიხეილ ბაკურაძემ 20 კაპ., (ზემო ხსენებული არის ფოშტით გამოგზავნილი). მღვდელმა ზაქარია კობაიძემ 1 მან., თედო ლუდუშაურმა 1 მან., დეკანოზმა მ. გიორგი იტონიევმა 1 მან., აბრამ ჩოპიკაშვილმა 1 მან., ელისაბედ ყაზიბეგმა 1 მან., მიხეილ გიორგობიანმა 1 მან., გიორგი მალანიამ 1 მან., გაბრიელ ბედოიევმა 1 მან., მარიამ ქამუტოვისამ 50 კაპ., პელაგია ნამორიძისამ 20 კაპ., ნინა კობაიძემ 20 კაპ., შიო სეთურიძემ 20 კაპ., გიორგი ოდიშვილმა 50 კაპ., სიმონ კობაიძემ 30 კაპ., მამუკა კობაიძემ 40 კაპ., ივანე კობაიძემ 50 კაპ., ილია კობაიძემ 25 კაპ., გრიგოლ გულიაიძემ 20 კაპ., ალექსანდრე დათიაშვილმა 15 კაპ., გრიგოლ სისაურმა 15 კაპ. და ივანე დავიდოვმა 30 კაპ.

ნაღვარევის წმ. გიორგის ეკკლესიის მედავითნე
ალექსი არგანაშვილი!

„ივერიის“ ფოსტა:

სოფ. ეფრატი. ს. გ.—ს. მანდაური ამბები და აღწერილობა ერის ზნე-ჩვეულებისა ხშირად მოგვაწოდეთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 ივლისი

პეტერბურგი. 3 ივლისს, დილის 11 საათზედ, კრასნოსელსკის მინდორში ხელმწიფე იმპერატორისა და იტალიის კაროლის თანადასწრებით მოხდა უმაღლესი აღლუმი. პარადში მონაწილეობას იღებდა 38,820 ჯარის-კაცი.

„კანონდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება სენატისადმი, რათა 1902 წ. იმპერიის ყველა კუთხეებიდგან მოწვეულ იქმნეს სამხედრო ბეგრის გადასახდელად 318,645 კაცი და თერგის ოლქის ოს მცხოვრებთაგან 100 კაცი.

ტომსკი. ტომსკის გუბერნიასა და სემიპალატინსკის ოლქში შემოღებულ იქმნა სახელმწიფო ვაჭრობა არყისა სავსებით.

მოსკოვი. უსპენსკის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა მოსაგონებლად 250 წლის ამის უწინარეს წმიდა ფილიპეს ნაწილების გადმოსვენებისა მოსკოვს.

ხელოვნებათა საზოგადოებაში და მხატვრობათა სკოლაში განზრახულია მოხდეს საჯარო კრებანი სახსოვრად ანტოკოლსკისა.

ლონდონი. ოფიციალური ბიულეტენი: მგზავრობა ლონდონიდამ კაუსამდე ფრიად კარგა მოუხდა კაროლს და არავითარი ტკივილი არ იგრძნო ზღვაზედ მოგზაურობის დროს. საზოგადო ვითარება მისის ჯანმრთელობისა საუცხოვოა. ჰაერისა და მდგომარეობის გამოცვლისა გამო კაროლი კარგა გრძნობს თავის თავს. მთელის დღის განმავლობაში კაროლი განისვენებდა ფარდულს ქვეშ.

ორი საათის განმავლობაში მისი საწოლი გამოტანილი იყო ნავის ახდილს ბაქანზე.

პეტერბურგი. იტალიის კაროლმა 1-ლ ივლისს ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ლამზდორფი.

3-ს ივლისს ელაგინის სასახლეში გრაფმა ლამზდორფმა გამართა სადილი პატივსაცემად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის პრინეტტისა.

4 ივლისი

პეტერბურგი. რადგან სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი პეტერბურგიდან წავიდა, მისი თანამდებობის აღსრულება მიენდო ინჟინერთა უმთავრეს უმფროსს გენერალ-ლეიტენანტს ვერნადერს.—3 ივლისს დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე წაბრძანდა პეტერბურგიდან და მდ. ვოლგით გაემართა სამგზავროდ.—3 ივლისს ინება მობრძანება პეტერბურგს დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ.—3 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი და მეფე იტალიისა მეთერთმეტე საათზედ მობრძანდნენ იახტით „ალექსანდრია“-თი კრონშტადტის პატარა რეიდზედ იტალიის კრეისერ „კარლო-ალბერტო“-სთან მეფემ კრეიზერზედ მიიღო ხელმწიფე იმპერატორი. კრეისერის დათვალიერებისა და უმავთულო ტელეგრაფის მომგონის მარკონის განმარტებათა მოსმენის შემდეგ, მათთა უდიდებულესობათა ინებეს და გასინჯეს საიმპერატორო იახტა „Полярная Звѣзда“ და პირველს საათზედ დაბრუნდნენ პეტერგოფს. მეორეს საათზედ პეტერგოფის სასახლეში მეფის წინაშე წარსდგა დეპუტაცია სამეცნიერო აკადემიისა საერო განათლების მინისტრ ზენგერის მეთაურობით და მიართვა ადრესი.

შადრინსკი. კრესტოვსკის ვოლოსტის მცხოვრებელნი შუამდგომლობენ, რომ შტო იქმნას გაყვანილი სოფ. კრესტოვსკოეზე, რათა შემწეობა აღმოეჩინოს ცნობილს კრესტოვსკო-ივანოვსკის იარმარკას, რომლზედაც მილიონობით არის ხოლმე ვაჭრობა.

ლონდონი. ბოლსმა ავად მოიხსენია ინგლისის ელჩი რომში კერრი და მისდა სასაყვედუროდ სთქვა, რომ იმის მეოხებით დავკარგეთ მეგობრობა იტალიისაო. კრანბორნმა უპასუხა, რომ იტალია უფრო მეტის მეგობრობით ექცევა ინგლისს, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფონიო. ინგლისი იტალიასთან ერთად მოქმედებდა სომალთა ქვეყნის საქმეშიო.

კონსტანტინეპოლი. დიპლომატიის წარმომადგენელთა მოქმედებაა მონასტრის ვილაიეტის საქმეთა მდგომარეობის შესახებ გასჭრა და პორტაა აღსთქვა, გამოძიებას მოვახდენ და რეფორმებს შემოვიღებო.

რომი. მწერლობა კვლავ განაგრძობს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა პატივის-ცემით იქმნა მიღებული მეფე იტალიისა ხელმწიფე იმპერატორისა და საიმპერატორო სახლეულობისაგან და ამტკიცებს, რომ ამ ვიზიტმა უფრო მეტად განამტკიცა ის კავშირი, რომელიც აერთებდა რუსეთსა და იტალიასაო.

ლონდონი. პრეტორიიდან მოსულ ცნობათა მიხედვით, პირველ გრძნობის შემსუბუქებისას, რომელიც გამოიწვია ომიანობის მოსპობამ, ახლა ყველგან რეაქცია მოჰყვა. იმ ბურებს, რომლებიც დაჰნებდნენ წინადვე ინგლისელებს და რომელნიც მტერს შეთვალყურეობდნენ, ახლა დიდის მძულვარებით ეკიდებიან ბურგერები, ის ბურგერები, რომლებმაც ბოლომდე არ დაჰყარეს იარაღი; ზოგიერთნი ამ მეთვალყურე-[illegible] დაჰხვრიტეს კიდეც. იმ აზრით, რომ ერჩეოდნენ იმათგან ის ბურნი, რომელთაც არ გასტეხეს ფიცი ომიანობის დროს და იბრძოდნენ ბოლომდე, ატარებენ განსაკუთრებულს ნიშნებს. ბურთა შორის მრავალნი ამბობენ, რომ ინგლისს თუ დავემორჩილდით და გადავედით იმათ მხარეს, ეგ იმიტომ რომ სიმართლით არ აგვიხსნეს დამორჩილების პირობანიო.

ბაქო. ბალახანში „არმაზდის“ ამხანაგობას დაეწვა 9 კოშკი ნავთისა.

ლიუბლინი. დაარსდა კომიტეტი ლიუბლინის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამორკვევისთვის.

პეტერბურგი. ციციკარის ქალაქი ხოლერის მხრივ საშიშარ ადგილად იქმნა გამოცხადებული.—ინკოუში 16 ივნისიდან 21 ივნისამდე იყო 166 ავადმყოფი, მათ შორის 139 მოკვდა, ხოლო სულ ხოლერის დაწყებიდან ავად გახდა 643 და მოკვდა 477. შიდა მანჯურიაში ხოლერით ავადმყოფნი რამდენგანმე აღმოჩნდნენ. ხარბინსა და მის მიდამოებში ხოლერა აღმოჩნდა პირველად 18 ივნისს. 27 ივნისამდე გახდა ავად სულ 575 კაცი და მოკვდა 322.—„Торг.-пром. газ.“-ს მოჰყავს საბოლოო ციფირები ჩინეთის ვაჭრობისა 1901 წელს: ევროპასთან (რუსეთს გარდა) ჰქონია ვაჭრობა 46.315,000 ტაელისა, დიდ ბრიტანიასთან—49.785,000 ტაელისა და რუსეთთან—12.641,000 ტაელისა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	82¼ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89¾ წვ. გაყ.
აქციები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	172½ წვ. გაყ

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით მკათათვის 9-ს, დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაოების [illegible] არხის გასაყვანად მიხაილოვის პროსპექტიდგან დაწყებული ახალ-ბაზრის ქუჩის [illegible] სიგრძე არხისა [illegible] საჟენი, ხოლო [illegible] მეტრი 0,42×0,28 [illegible]

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების [illegible] ველთ პირობათა გასინჯვა შეუძლიანთ ყოველ[illegible] სადა დღეს 11—2 საათამდე გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში.

(3—6, —1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არჩილისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეგ. [illegible]	30
საქართ. ისტორია [illegible] I-II ნაწ.	1 10
Земельные вопросы и престуиность на Кавказѣ Г. Туманова	60
სალიტერატურო ქართული. [illegible] ხუნდაძის გამოკვლევა	1 3.
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	30
ყოველის მხრიდგან. არჩილისა	10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15
ისტორია ბავშვის სულის [illegible] ბისა	50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	5
ახა ტფილელი, გ. გ.	30
Або Тифлисскій, Е. К.	5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хаханова	6
გიორგი და მისეული	1
რ. ახაშიძისა	60
დ. გაბრუაშვილისა	25
მელის წიგნი, გ. თავაიშვილისა	40
მუშათა კითხვა	15
მოგზაურობა იერუსალიმში, [illegible] ვახტანგ ორბელიანისა	1
Царица Тамара, М. Джанашвили	
მოძღვრება, ი. გამრეკელისა	
Древній Анчисхатскій соборъ Карбеловъ	
ქართველი წმინდანები, გ. ოსეფაანისა	5
შრომა და ბეჯითობა, თარგ. [illegible]	30
ნანგა, გ. [illegible]	1
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. [illegible]	
კოპერნიკიდან [illegible]	
კანდელი, მ. [illegible]	
Краткій очеркъ исторіи [illegible] зинской церкви, Е. [illegible]	
შეგვხვდეთ დაბადებანი, მ. [illegible]	
მეცნიერებისათვის წამებული	
Мцхетъ и его Соборъ, А. Натрова	
ნელდი და მატრამი, თრ. ელ. [illegible]	
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	
ცხოვრების სარკე II. [illegible] დაშვილისა	
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	5
დედა, ანდერსენისა	8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30
კუბიკები ქართულის ანბანის	1 20
ლექსები განდეგილისა	1 50
[illegible] შვილისა	50
დამონებულნი, თარ. [illegible]	1 3.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	
Двѣ святыни въ Ка[illegible]	
Давидъ Гареджели[illegible]	
ეტიუდები, თ. [illegible]	
ლენე, მოთხრობა	
Вступленіе Грузіи въ сос[illegible] Росс. имперіи, М. Хелтуи[illegible]	
Назрѣвшій Европов съ К[illegible]	
ოცი წლის წინად, გ. წერეთლის	
Очерки по истор. Грузин. [illegible] весности, т. III Хаха[illegible]	
ამბავი მეფის ქვის	

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 іюля 1902 г. Типогра[illegible] «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. [illegible] რედაქტორი ა. ი. ხარაჯიშვილი